ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4677381

ნომერი: AR1703626

თარიღი : 27.08.2019

გაცემის თარიღი : 19.09.2019

გაცნობის თარიღი : 22.09.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 116;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არტურ კასიანი პ/ნ 01015002180
- თბილისი კრწანისის ქ. N 3 კორ. "ა" ბ. 15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. განმარტეთ ეხებით თუ არა სხვის სარგებლობაში არსებულ ფართს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში (თუ ეხებით) წარმოადგნეთ მათი თანხმობები სათანადო წესით დამოწმებული.
გაითვალისწინეთ, თანხმობა ფიზიკური პირის შემთხვევაში დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით იურიდიული პირის შემთხვევაში კი ასევე შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული, ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი.
ასევე, არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება წარმოდგენილ იქნეს შპს ლაურა ჰოუმის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.